შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს
(ათას ქართულ ლარში)

		კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
აქტივის გამოყენების უფლება	5	32	108	32	108
ძირითადი საშუალებები	6	5,184	5,939	3,921	4,218
საინვესტიციო ქონება	6	11,481	11,231	1,845	1,905
მიწით სარგებლობის უფლება	6	25	25	25	25
ინვესტიცია შვილობილში	7	-	-	11,565	11,565
		16,722	**17,303**	**17,388**	**17,821**
მიმდინარე აქტივები					
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები		632	29	592	29
დებიტორული დავალიანება	8	854	492	257	325
ფული და ფულის ექვივალენტები	9	3,196	4,519	2,797	4,288
		4,682	**5,040**	**3,646**	**4,642**
სულ აქტივები		**21,404**	**22,343**	**21,034**	**22,463**
მფლობელის კაპიტალი და ვალდებულებები					
მფლობელის კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი	10	48,437	48,437	48,437	48,437
დაგროვილი ზარალი		27,796	26,878	- 28,138	- 26,757
სულ მფლობელის კაპიტალი		**20,641**	**21,559**	**20,299**	**21,680**
გრძელვადიანი ვალდებულებები					
საიჯარო ვალდებულებები	5	-	35	-	35
		-	**35**	**-**	**35**
მიმდინარე ვალდებულებები					
საიჯარო ვალდებულებები	5	28	73	28	73
სავაჭრო ვალდებულებები	11	28	34	-	32
მიღებული ავანსები	12	707	642	707	643
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**763**	**749**	**735**	**748**
სულ ვალდებულებები		**763**	**784**	**735**	**783**
სულ მფლობელის კაპიტალი და ვალდებულებები		**21,404**	**22,343**	**21,034**	**22,463**

კონსოლიდირებული და ინდივიდუალი ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მხრიდან 2023 წლის 29 სექტემბერს:

დირექტორი _____ დავით ებრალიძე

შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს
(ათას ქართულ ლარში)

		კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
აქტივის გამოყენების უფლება	5	32	108	32	108
ძირითადი საშუალებები	6	5,184	5,939	3,921	4,218
საინვესტიციო ქონება	6	11,481	11,231	1,845	1,905
მიწით სარგებლობის უფლება	6	25	25	25	25
ინვესტიცია შვილობილში	7	-	-	11,565	11,565
		16,722	**17,303**	**17,388**	**17,821**
მიმდინარე აქტივები					
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები		632	29	592	29
დებიტორული დავალიანება	8	854	492	257	325
ფული და ფულის ექვივალენტები	9	3,196	4,519	2,797	4,288
		4,682	**5,040**	**3,646**	**4,642**
სულ აქტივები		**21,404**	**22,343**	**21,034**	**22,463**
მფლობელის კაპიტალი და ვალდებულებები					
მფლობელის კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი	10	48,437	48,437	48,437	48,437
დაგროვილი ზარალი		27,796	26,878	- 28,138	- 26,757
სულ მფლობელის კაპიტალი		**20,641**	**21,559**	**20,299**	**21,680**
გრძელვადიანი ვალდებულებები					
საიჯარო ვალდებულებები	5	-	35	-	35
		-	**35**	**-**	**35**
მიმდინარე ვალდებულებები					
საიჯარო ვალდებულებები	5	28	73	28	73
სავაჭრო ვალდებულებები	11	28	34	-	32
მიღებული ავანსები	12	707	642	707	643
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**763**	**749**	**735**	**748**
სულ ვალდებულებები		**763**	**784**	**735**	**783**
სულ მფლობელის კაპიტალი და ვალდებულებები		**21,404**	**22,343**	**21,034**	**22,463**

კონსოლიდირებული და ინდივიდუალი ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მხრიდან 2023 წლის 29 სექტემბერს:

დირექტორი _____ დავით ებრალიძე

შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური სრული შემოსავლების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
		2022	**2021**	**2022**	**2021**
შემოსავალი ადმინისტრაციული მომსახურებიდან	12	1,586	2,335	1,586	2,357
საიჯარო შემოსავალი		1,905	1,202	1,402	1,202
სხვა შემოსავალი	12	813	441	-	-
სულ შემოსავალი		**4,304**	**3,978**	**2,988**	**3,559**
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(1,784)	(1,614)	(1,688)	(1,514)
ცვეთა და ამორტიზაცია	5,6	(1,216)	(795)	(626)	(601)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		12	672	12	641
სხვა საოპერაციო ხარჯები	13	(1,473)	(1,434)	(1,356)	(1,417)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		**(157)**	**807**	**(670)**	**668**
საპროცენტო შემოსავალი		-	3	-	3
საპროცენტო ხარჯი		(66)	(67)	(66)	(66)
საკურსო სხვაობის (ზარალი)/მოგება, წმინდა		(695)	(563)	(645)	(442)
მოგება გადასახადამდე		**(918)**	**180**	**(1,381)**	**163**
მოგების გადასახადი		-	(3)	-	(3)
სულ სრული შემოსავალი		**(918)**	**177**	**(1,381)**	**160**

კონსოლიდირებული და ინდივიდუალი ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მხრიდან 2023 წლის 29 სექტემბერს:

დირექტორი _____ დავით ებრალიძე

შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური სრული შემოსავლების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
		2022	**2021**	**2022**	**2021**
შემოსავალი ადმინისტრაციული მომსახურებიდან	12	1,586	2,335	1,586	2,357
საიჯარო შემოსავალი		1,905	1,202	1,402	1,202
სხვა შემოსავალი	12	813	441	-	-
სულ შემოსავალი		**4,304**	**3,978**	**2,988**	**3,559**
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(1,784)	(1,614)	(1,688)	(1,514)
ცვეთა და ამორტიზაცია	5,6	(1,216)	(795)	(626)	(601)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		12	672	12	641
სხვა საოპერაციო ხარჯები	13	(1,473)	(1,434)	(1,356)	(1,417)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		**(157)**	**807**	**(670)**	**668**
საპროცენტო შემოსავალი		-	3	-	3
საპროცენტო ხარჯი		(66)	(67)	(66)	(66)
საკურსო სხვაობის (ზარალი)/მოგება, წმინდა		(695)	(563)	(645)	(442)
მოგება გადასახადამდე		**(918)**	**180**	**(1,381)**	**163**
მოგების გადასახადი		-	(3)	-	(3)
სულ სრული შემოსავალი		**(918)**	**177**	**(1,381)**	**160**

კონსოლიდირებული და ინდივიდუალი ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მხრიდან 2023 წლის 29 სექტემბერს:

დირექტორი _____ დავით ებრალიძე

კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება:

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
1 იანვარი 2020	**38,676**	**(27,076)**	**11,600**
საწესდებო კაპიტალში შენატანები	9,761	-	**9,761**
სულ წლის სრული შემოსავალი	-	21	**21**
31 დეკემბერი 2020	**48,437**	**(27,055)**	**21,382**
სულ წლის სრული შემოსავალი	**-**	**177**	**177**
31 დეკემბერი 2021	**48,437**	**(26,878)**	**21,559**
სულ წლის სრული შემოსავალი	**-**	**(918)**	**(918)**
31 დეკემბერი 2022	**48,437**	**(27,796)**	**20,641**

კაპიტალის მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება:

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
1 იანვარი 2020	**38,676**	**(26,960)**	**11,716**
საწესდებო კაპიტალში შენატანები	9,761	-	**9,761**
სულ წლის სრული შემოსავალი	-	43	**43**
31 დეკემბერი 2020	**48,437**	**(26,917)**	**21,520**
სულ წლის სრული შემოსავალი	**-**	**160**	**160**
31 დეკემბერი 2021	**48,437**	**(26,757)**	**21,680**
სულ წლის სრული შემოსავალი	**-**	(1,381)	**(1,381)**
31 დეკემბერი 2022	**48,437**	**(28,138)**	**20,299**

კონსოლიდირებული და ინდივიდუალი ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მხრიდან 2023 წლის 29 სექტემბერს:

დირექტორი _____ დავით ებრალიძე

კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება:

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
1 იანვარი 2020	**38,676**	**(27,076)**	**11,600**
საწესდებო კაპიტალში შენატანები	9,761	-	**9,761**
სულ წლის სრული შემოსავალი	-	21	**21**
31 დეკემბერი 2020	**48,437**	**(27,055)**	**21,382**
სულ წლის სრული შემოსავალი	-	**177**	**177**
31 დეკემბერი 2021	**48,437**	**(26,878)**	**21,559**
სულ წლის სრული შემოსავალი	-	**(918)**	**(918)**
31 დეკემბერი 2022	**48,437**	**(27,796)**	**20,641**

კაპიტალის მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება:

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
1 იანვარი 2020	**38,676**	**(26,960)**	**11,716**
საწესდებო კაპიტალში შენატანები	9,761	-	**9,761**
სულ წლის სრული შემოსავალი	-	43	**43**
31 დეკემბერი 2020	**48,437**	**(26,917)**	**21,520**
სულ წლის სრული შემოსავალი	-	**160**	**160**
31 დეკემბერი 2021	**48,437**	**(26,757)**	**21,680**
სულ წლის სრული შემოსავალი	-	(1,381)	**(1,381)**
31 დეკემბერი 2022	**48,437**	**(28,138)**	**20,299**

კონსოლიდირებული და ინდივიდუალი ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მხრიდან 2023 წლის 29 სექტემბერს:

დირექტორი _____ დავით ებრალიძე

შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
		2022	2021	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება გადასახადამდე		**(918)**	**180**	**(1,381)**	**163**
კორექტირებები:					
ცვეთა და ამორტიზაცია	5,6	1,216	795	626	601
დებიტორული დავალიანების (გაუფასურების აღდგენა)/გაუფასურება	8,14	-	(34)	-	123
საპროცენტო შემოსავალი		-	(3)	-	(3)
საპროცენტო ხარჯი		66	67	66	66
საკურსო სხვაობით მიღებული წმინდა ზარალი		89	323	65	312
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		**453**	**1,328**	**(624)**	**1,262**
საბრუნავი კაპიტალის ცვლილება:					
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები		(1,901)	(29)	(563)	(29)
დებიტორული დავალიანება		(640)	(46)	(145)	(221)
კრედიტორული დავალიანება და გადახდილი ავანსები		207	(563)	180	(565)
ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		**(1,881)**	**690**	**(1,152)**	**447**
გადახდილი მოგების გადასახადი			(3)	**-**	**(3)**
გადახდილი პროცენტი		(73)	(58)	(73)	(58)
წმინდა ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		**(1,954)**	**629**	**(1,225)**	**386**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან					
ძირითადი საშუალების შესყიდვა	6	(91)	(1,574)	(65)	(285)
საინვესტიციო ქონების შესყიდვა	6	717	(4,067)	(128)	-
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში		78	-		(3,751)
მიღებული პროცენტი		-	3	-	3
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ნაღდი ფული		**704**	**(5,638)**	**(193)**	**(4,033)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან					
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	5	(73)	(73)	(73)	(73)
საქმიანობაში მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ნაღდი ფული		**(73)**	**(73)**	**(73)**	**(73)**
ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა		**(1,323)**	**(5,082)**	**(1,491)**	**(3,720)**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში		**4,519**	**9,601**	**4,288**	**8,008**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს (შეზღუდული ფულის ჩათვლით)		**3,196**	**4,519**	**2,797**	**4,288**

კონსოლიდირებული და ინდივიდუალი ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მხრიდან 2023 წლის 29 სექტემბერს:

დირექტორი _____ დავით ებრალიძე

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
		2022	2021	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება გადასახადამდე		**(918)**	**180**	**(1,381)**	**163**
კორექტირებები:					
ცვეთა და ამორტიზაცია	5,6	1,216	795	626	601
დებიტორული დავალიანების (გაუფასურების აღდგენა)/გაუფასურება	8,14	-	(34)	-	123
საპროცენტო შემოსავალი		-	(3)	-	(3)
საპროცენტო ხარჯი		66	67	66	66
საკურსო სხვაობით მიღებული წმინდა ზარალი		89	323	65	312
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		**453**	**1,328**	**(624)**	**1,262**
საბრუნავი კაპიტალის ცვლილება:					
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები		(1,901)	(29)	(563)	(29)
დებიტორული დავალიანება		(640)	(46)	(145)	(221)
კრედიტორული დავალიანება და გადახდილი ავანსები		207	(563)	180	(565)
ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		**(1,881)**	**690**	**(1,152)**	**447**
გადახდილი მოგების გადასახადი			(3)	-	**(3)**
გადახდილი პროცენტი		(73)	(58)	(73)	(58)
წმინდა ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		**(1,954)**	**629**	**(1,225)**	**386**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან					
ძირითადი საშუალების შესყიდვა	6	(91)	(1,574)	(65)	(285)
საინვესტიციო ქონების შესყიდვა	6	717	(4,067)	(128)	-
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში		78	-		(3,751)
მიღებული პროცენტი		-	3	-	3
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ნაღდი ფული		**704**	**(5,638)**	**(193)**	**(4,033)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან					
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	5	(73)	(73)	(73)	(73)
საქმიანობაში მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ნაღდი ფული		**(73)**	**(73)**	**(73)**	**(73)**
ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა		**(1,323)**	**(5,082)**	**(1,491)**	**(3,720)**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში		**4,519**	**9,601**	**4,288**	**8,008**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს (შეზღუდული ფულის ჩათვლით)		**3,196**	**4,519**	**2,797**	**4,288**

კონსოლიდირებული და ინდივიდუალი ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მხრიდან 2023 წლის 29 სექტემბერს:

დირექტორი _____ დავით ებრალიძე

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“ (შემდგომში „კომპანია“ და შვილობილ კომპანიასთან ერთად „ჯგუფი“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2008 წლის 9 ივნისს და მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, ფოთი, ჩხეიძის ქ. #1. ჯგუფი გასწევს ადმინისტრაციულ და საიჯარო მომსახურებას საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე, გადასახადებისგან თავისუფალი გარემოსა და ბიზნესის შექმნის სწრაფი და მარტივი პროცესის შეთავაზების გზით. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიას და მის 100%-იან საკუთრებაში მყოფ შვილობილ კომპანიას - შპს „ფოთი თიზ კომუნალურების მართვა თზკ“. კომპანიის მფლობელები იყვნენ:

	2022	2021
შპს „სი ეფ სი (ევრო-აზიური)“, საქართველო	75%	75%
სახელმწიფო უწყება რას ალ ხაიმას საინვესტიციო ორგანო (გაერთიანებული საემიროები)	15%	15%
საქართველოს სახელმწიფო	10%	10%
	100%	**100%**

2. ახალი და შესწორებული საერთაშორისო ფინანსური რეპორტინგის სტანდარტების გამოყენება

2022 წელს კომპანიამ დანერგა შემდეგი ახალი და შესწორებული სტანდარტები:

შემდეგი შესწორებები და ინტერპერტაციები ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის:

- **შესწორება სტანდარტში ფასს 3 - ფასს 3-ის შესწორება - კონცეპტუალურ ჩარჩოზე მითითება**

კომპანიამ მიმდინარე წელს პირველად დანერგა ფასს 3 - ბიზნეს კომბინაციების, შესწორება. ამ ცვლილებებეით განახლდა ფასს 3 ისე, რომ იგი იგი ეხება 2018 წლის კონცეპტუალურ ჩარჩოს 1989 წლის ჩარჩოს ნაცვლად. მათ ასევე დაამატეს ფასს 3-ს მოთხოვნა, რომ ბასს 37 - რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივების, სტანდარტში შემავალი ვალდებულებებისთვის, მყიდველმა უნდა გამოიყენოს ბასს 37, რათა დაადგინოს, არსებობს თუ არა წარსული მოვლენების შედეგად წარმოქნილი მიმდინარე ვალდებულება შეძენის თარიღისთვის. გადასახადისთვის, რომელიც შედის ფასიკ 21 - გადასახადების, ფარგლებში, მყიდველი იყენებს ფასიკ 21-ს, რათა დადგინდეს, შეძენის თარიღისთვის წარმოიშვა თუ არა ისეთი დამავალდებულებელი მოვლენა, რომელიც წარმოშობს გადასახადის გადახდის ვალდებულებას.

- **ბასს 16-ის შესწორება - *დაგეგმილ გამოყენებამდე მიღებული შემოსავალი***

კომპანიამ წელს პირველად დანერგა ბასს 16 - ძირითადი საშუალებების, შესწორებები. ცვლილებები კრძალავს ძირითადი საშუალებების ღირებულებიდან გამოქვითვას გაყიდვიდან ნებისმიერ ისეთ შემოსავლს, რომელიც მიღებულია ამ აქტივის გამოსაყენებლად მისაწვდომობამდე, ე.ი. იმ შემოსავლებს, რომლებიც მიღებულია აქტივის იმ ადგილას მიტანამდე და იმ მდგომარეობამდე მიყვანამდე, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ აქტივმა შეძლოს ხელმძღვანელობის მიერ დადგენილი წესით ოპერირება. შესაბამისად, კომპანია გაყიდვებიდან მიღებულ ასეთ შემოსავალსა და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს მოგებასა ან ზარალში აღიარებს. კოპანია ზომავს ამ ერთეულების ღირებულებას ბასს 2 - მარაგების, შესაბამისად. ზემოაღნიშნული სტანდარტები და ინტერპრეტაციები განხილულ იქნა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ, მაგრამ არ ქონდა მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ცვლილებები ასევე განმარტავს "აქტივის გამართულად ფუნქციონირების შემოწმების" მნიშვნელობას. ბასს 16 ახლა განსაზღვრავს ამას, როგორც შეფასებას, არის თუ არა აქტივის ტექნიკური და ფიზიკური ფუნქციონირებადობა ისეთი, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია საქონლის ან მომსახურების წარმოებასა ან მიწოდებაში, სხვებისთვის მისაქირავებლად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის.
იმ შემთხვევაში, თუ ცალკე არ არის წარმოდგენილი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ფინანსური ანგარიშგება უნდა ასახავდეს მოგებასა ან ზარალში შემავალი შემოსავლების და ღირებულების ოდენობას, რომელიც ეხება ისეთ წარმოებულ ერთეულებს, რომლებიც არ არის კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის შედეგი, და სრული შემოსავლების ანგარიშგების რომელ პუნქტ(ებ)ს მოიცავს ასეთი შემოსავალი და ღირებულება.

- **შესწორება ბასს 37 წამგებიანი კონტრაქტები —ხელშეკრულების შესრულების ღირებულება**

კომპანიამ წელს პირველად დანერგა ბასს 37-ის ცვლილებები. ცვლილებები განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების ღირებულება მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ხელშეკრულებასთან. ხარჯები, რომლებიც უშუალოდ ეხება ხელშეკრულებას, შედგება როგორც ამ ხელშეკრულების შესრულების ზღვრული ხარჯებისგან (მაგალითად პირდაპირი შრომითი დანახარჯი ან მასალები), ასევე, სხვა ხარჯების მიკუთვნებისგან, რომლებიც უშუალოდ ხელშეკრულების შესრულებასთანაა დაკავშირებული (მაგალითად ცვეთის ხარჯის მიკუთვნება იმ ძირითადი საშუალებისთვის, რომელიც ხელშეკრულების შესრულებისთვის გამოიყენება).

კომპანიამ მიმდინარე წელს პირველად დანერგა ცვლილებები, რომლებიც შედის ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების წლიური გაუმჯობესება - 2018-2020 წლების ციკლში. წლიური გაუმჯობესებები მოიცავს ცვლილებებს ოთხ სტანდარტში.

- **ფასს 1 - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება**

ცვლილება დამატებით შეღავათს უქმნის შვილობილ კომპანიას, რომელიც პირველად დანერგვას ახორციელებს უფრო გვიან, ვიდრე მისი მშობელი, კუმულაციური საკურსო სხვაობების აღრიცხვის თვალსაზრისით. შესწორების შედეგად, შვილობილ კომპანიას, რომელიც იყენებს ფასს 1:დ16(ა)-ის გამონაკლისს,

ახლა, ასევე, შეუძლია აირჩიოს კუმულაციური საკურსო სხვაობების გაზომვა ყველა უცხოური ვალუტის ოპერაციისთვის იმ საბალანსო ღირებულებით, რომელიც შესული იქნება მშობლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის , თუ არ განხორციელებულა კონსოლიდაციის პროცედურებისა და საწარმოთა გაერთიანების ეფექტების კორექტირება, როდესაც მშობელმა შეიძინა შვილობილი კომპანია. მსგავსი არჩევანი ხელმისაწვდომია მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოსთვის, რომელიც იყენებს ფასს 1:დ16(ა) გამონაკლისს.

- **ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები**

ცვლილება განმარტავს, რომ ფინანსური ვალდებულების აღიარების გაუქმების მიზნით „10 პროცენტის“ ტესტის გამოყენებისას, საწარმომ უნდა ჩათვალოს მხოლოდ საწარმოს (მსესხებელს) და გამსესხებელს შორის გადახდილი ან მიღებული საკომისიოები, მათ შორის რომელიმე საწარმოს მიერ ან სხვის მაგიერ გადახდილი ან მიღებული საკომისიოები.

- **ფასს 16 იჯარები**

ცვლილებები აღარ ითვალისწინებს საიჯარო ქონების კეთილმოწყობის ანაზღაურების ჩვენებას.

- **ბასს 41 სოფლის მეურნეობა**

ცვლილების შედეგად საწარმოებისთვის გაუქმდა ბასს 41-ის მოთხოვნა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას დაბეგვრასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების ამოღებასთან დაკავშირებით. ამას შესაბამისობაში მოყავს ბასს 41-ის სამართლიანი ღირებულების გაზომვა ფასს 13 - სამართლიანი ღირებულების გაზომვის მოთხოვნები - მოხდეს შიდა თანმიმდევრული ფულადი ნაკადებისა და დისკონტირების განაკვეთების გამოყენება და საშუალება მისცეს მომმზადებელს, განსაზღვროს, გამოიყენოს გადასახადამდე თუ გადასახადის შემდგომი ფულადი ნაკადები და დისკონტირებული განაკვეთები ყველაზე სწორი სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად.

ზემოთ აღნიშნული სტანდარტებისა და ინტერპერატიცების გადახედვა მოხდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ, მაგრამ მათ გამოყენებას არ ჰქონია რაიმე არსებითი ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი და განახლებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის კომპანია არ იყენებს შემდეგ ახალ და განახლებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

ფასს 17 (მათ შორის 2020 წლის ივნისისსადაზღვევო კონტრაქტები შესწორება სტანდარტში ფასს 17)		*ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან*
შესწორება სტანდარტში ფასს 10 და 28	*ბასსაქტივების გაყიდვა ან შეტანა ინვესტორსა მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის*	*დაშესწორების ძალაში შესვლის თარიღი ჯერ კიდევ დასადგენია საბჭოს მიერ, თუმცა ადრეული გამოყენება დაშვებულია*
შესწორება სტანდარტში ბასს 1	*ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიან ვალდებულებებად*	*ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან*
შესწორება სტანდარტებში ბასს 1 და ფასს პრაქტიკის განცხადება 2	*საბუღალტრო პოლიტიკების განმარტება*	*ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან*
შესწორება სტანდარტში ბასს 8	*საბუღალტრო შეფასებების განსაზღვრება*	*ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან*
შესწორება სტანდარტში ბასს 12	*გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია აქტივებთან და ვალდებულებებთან, რომლებიც წარმოიქმნება ერთი ტრანზაქციის შედეგად*	*ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან*

ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების ამოქმედება მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძველი. კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასსს“) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მოთხოვნების შესაბამისად. ქვემოთ აღწერილია წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები. კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში („ლარი“), თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კონსოლიდაციის საფუძველი. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფისა და მისი შვილობილი კომპანიის - შპს „ფოთი თიზ კომუნალურების მართვა თზკ“ ფინანსურ ანგარიშგებას 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო. კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ჯგუფს აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე (ანუ უფლებები მას მიმდინარე მომენტში საშუალებას აძლევენ მართოს ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა);
- ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგების მიღების უფლება ან მგრძნობელობა; და
- მას შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე ახორციელებს თუ არა კონტროლს, ჯგუფი ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან სახელშეკრულებო გარიგებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან მიღებული უფლებები;
- ჯგუფის ხმის უფლებებს და პოტენციური ხმის უფლებებს.

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან

გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე. შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგება მზადდება ანგარიშგების იმავე პერიოდისთვის, რომლისთვისაც - მშობელი კომპანიის ანგარიშგება, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით. ჯგუფის ყველა შიდა ნაშთი, ოპერაცია, ჯგუფის შიდა ოპერაციებით განპირობებული არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი, და დივიდენდები, სრულად არის გაქვითული. მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი კომპანიის პარტნიორებსა და არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არასაკონტროლო პაკეტის ბალანსის დეფიციტს იწვევს. საჭიროების შეთხვევაში ხდება შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება. შვილობილი საწარმოს კაპიტალში წილის ცვლილება, კონტროლის დაკარგვის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება. თუ ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე, იგი:

- ჩამოწერს შვილობილი საწარმოს აქტივებს (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებებს; • ჩამოწერს არასაკონტროლო პაკეტის საბალანსო ღირებულებას;
- ჩამოწერს კაპიტალში ასახულ ჯამურ საკურსო სხვაობებს;
- ასახავს მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას;
- ასახავს ნებისმიერი ინვესტიციის სამართლიან ღირებულებას;
- ასახავს მოგებაში და ზარალში დეფიციტს ან მეტობას;
- ასევე მოახდენს მშობელი კომპანიის სხვა სრულ შემოსავალში ასახული კომპონენტების წილის რეკლასიფიკაციას მოგებასა და ზარალზე, ან გაუნაწილებელ მოგებაზე

ფუნქციონირების უწყვეტობა. წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ხელმძღვანლობის მიერ საწარმოს ფუნქციონირების უწყვეტობის საფუძველზე და სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად იყო გამოყენებული მთელი პერიოდის განმავლობაში. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანლობამ გაითვალისწინა ჯგუფისა და კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა და გააანალიზა ბაზრებზე არსებული ვითარების გავლენა ჯგუფისა და კომპანიის ოპერაციებზე.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები წარდგენილია ქვემოთ.

მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაცია. ჯგუფი და კომპანია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარადგენენ აქტივებსა და ვალდებულებებს მიმდინარედ/გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან დაგეგმილი გაყიდვა ან მოხმარება ნორმალურ საოპერაციო ციკლში
- ძირითადად ინახება ვაჭრობის მიზნით
- მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- ნაღდი ფული ან მისი ექვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეზღუდულია მისი გაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად საანგარიშო პერიოდიდან სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი.

ვალდებულება მიმდინარე, როდესაც:

- მოსალოდნელია, რომ ის გადაიხდება ნორმალურ საოპერაციო ციკლში
- ძირითადად არსებობს ვაჭრობის მიზნით
- მისი დაფარვა უნდა მოხდეს საანგარიშო პერიოდიდან თორმეტ თვეში, ან
- არ არსებობს ვალდებულების დაფარვის გადადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდიდან არანაკლებ თორმეტი თვით.

ჯგუფისა და კომპანიის ყველა სხვა ვალდებულებას კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი.

იჯარა. ჯგუფი და კომპანია ხელშეკრულების დაწყებისას აფასებენ, შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარის ელემენტებს, ანუ თუ ხელშეკრულების მიხედვით ანაზღაურების საფუძველზე გადაეცემა განსაზღვრული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

ჯგუფი და კომპანია, როგორც მოიჯარე. ჯგუფი და კომპანია მიმართავენ აღიარებისა და შეფასების ერთიან მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი იჯარისა და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარისა. ჯგუფი და კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს იჯარის გადახდების განსახორციელებლად და აქტივის გამოყენების უფლებას, რაც წარმოადგენს ძირითადი აქტივების გამოყენების უფლების ქონას.

(i) აქტივის გამოყენების უფლება. ჯგუფი და კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის დაწყების დღეს (ანუ იმ თარიღში, როდესაც ძირითადი აქტივი ხელმისაწვდომია გამოსაყენებლად). აქტივის გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით და კორექტირებულია საიჯარო ვალდებულებების ნებისმიერი ხელახალი შეფასებით. აქტივის გამოყენების უფლების ღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების თანხას, გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ ხარჯებს და იჯარის გადახდებს, რომელიც განხორციელდა დაწყების თარიღამდე ან მის დაწყებამდე, გამოკლებული იჯარასთან დაკავშირებული ფასდათმობა. აქტივის გამოყენების უფლება ცვეთა ხდება წრფივი მეთოდით 3 წლის განმავლობაში. აქტივის გამოყენების უფლება ასევე ექვემდებარება გაუფასურებას. იხილეთ შესაბამისი საღრიცხვო პოლიტიკა განყოფილებაში „არაფინანსური აქტივების გაუფასურება“.

(ii) საიჯარო ვალდებულებები. იჯარის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი და კომპანია აღიარებენ საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც შეფასებულია იჯარის გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომელიც უნდა განხორციელდეს იჯარის ვადის განმავლობაში. საიჯარო გადასახადები მოიცავს ფიქსირებულ გადასახადებს (მათ შორის, შინაარსობრივად ფიქსირებულ გადასახადებს) გამოკლებული ნებისმიერი საიჯარო ფასდათმობა, ცვლადი იჯარის გადასახადები, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსსა ან განაკვეთზე, და ნარჩენი ღირებულების გარანტიით მოსალოდნელი თანხების გადახდა. საიჯარო გადახდების ამჟამინდელი ღირებულების გაანგარიშებისას ჯგუფი და კომპანია იყენებენ სესხის აღების განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის, რადგან იჯარაში ზღვრული საპროცენტო განაკვეთი არ არის ადვილად განსაზღვრადი. დაწყების თარიღის შემდეგ, იჯარის ვალდებულებების ოდენობა იზრდება პროცენტის დაგროვების ასასახად და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადასახდელებისთვის. გარდა ამისა, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება, თუ ხდება ცვლილება, იჯარის ვადის ცვლილება, იჯარის გადახდების ცვლილება (მაგ. ცვლილებები სამომავლო გადახდებში, რომელიც გამოწვეულია ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების შედეგად, რომელიც გამოიყენება ასეთის დასადგენად. იჯარის გადახდა) ან ძირითადი აქტივის შეძენის ოფციის შეფასების ცვლილება.

(iii) მოკლევადიანი იჯარა და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარა. ჯგუფი და კომპანია იყენებენ მოკლევადიანი იჯარის აღიარების გამონაკლისს მანქანებისა და აღჭურვილობის მოკლევადიანი იჯარისთვის (ანუ იმ იჯარებზე, რომლებსაც აქვთ იჯარის ვადა 12 თვე ან ნაკლები დაწყების თარიღიდან და არ შეიცავს შესყიდვის არჩევანს) . იგი ასევე იყენებს დაბალი ღირებულების აქტივების იჯარის აღიარების გამონაკლისს საოფისე ტექნიკის იჯარაზე, რომელიც ითვლება დაბალ ღირებულებად. იჯარის გადახდა მოკლევადიანი იჯარით და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარით აღიარებულია ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

ჯგუფი და კომპანია როგორც მეიჯარე. იჯარები, რომლებშიც ჯგუფი და კომპანია არ გადასცემენ არსებითად აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღირიცხება წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში და შესულია შემოსავალში, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი საოპერაციო ხასიათის გამო. საოპერაციო იჯარის მოლაპარაკებისა და მოწყობისას გაწეული საწყისი პირდაპირი ხარჯები ემატება იჯარით აღებული აქტივის საბალანსო ღირებულებას და აღიარდება იჯარის ვადის განმავლობაში იმავე საფუძველზე, როგორც საიჯარო შემოსავალი. პირობითი იჯარა აღიარებულია შემოსავალად იმ პერიოდში, რომელშიც ისინი მიიღება.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები და აღჭურვილობა აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი ღირებულება მოიცავს აღჭურვილობის ნაწილის გამოცვლის ხარჯი, თუ გაწეული ხარჯი აღიარების კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება გაუფასურებაზე, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილება მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს აღდგენადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგებასა ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯების

ნაწილში. რემონტთან და განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება გაწევის მომენტში და მოიცავს სხვა საოპერაციო ხარჯებს, თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. აქტივის ცვეთა იწყება, როდესაც ის ხელმისაწვდომია გამოსაყენებლად. აცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით შემდეგი სავარაუდო სასარგებლო ვადის განმავლობაში:

	წელი
ინფრასტრუქტურული აქტივები	20
მანქანა-დანადგარები	10
კომპიუტერები, საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და მოწყობილობები	5

ქონებისა და აღჭურვილობის აღიარება წყდება გასხვისებისას ან როდესაც არ არის მოსალოდნელი შემდგომი ეკონომიკური სარგებელი მისი გამოყენებისა და განკარგვისგან. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება აქტივის აღიარების შეწყვეტით (გამოითვლება, როგორც სხვაობა გასხვისებიდან წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) აღირიცხება მოგებასა ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტის პერიოდში.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელიც კომპანიას აქვს საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის გაზრდის მიზნით ან ორივესთვის, მაგრამ არა გასაყიდად ჩვეულებრივი ბიზნესის პროცესში, საქონლის წარმოებაში ან მიწოდებაში გამოყენებაში ან მომსახურების გაწევაში ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის. საინვესტიციო ქონება აისახება თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. საინვესტიციო ქონებაში შემავალი საწყობების ცვეთა დარიცხულია მისი სავარაუდო სასარგებლო ვადის განმავლობაში - 20 წლის განმავლობაში. ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება საინვესტიციო ქონების შეძენას. აშენებული საინვესტიციო ქონების ღირებულება მოიცავს მასალების და პირდაპირი შრომის ღირებულებას, ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული საინვესტიციო ქონების სამუშაო მდგომარეობამდე მიყვანასთან მათი დანიშნულებისამებრ და დაკაპიტალიზირებული სესხის დანახარჯებთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში. საინვესტიციო ქონების ღირებულება, რომელიც შეძენილია არაფულადი აქტივის ან აქტივების, ან ფულადი და არაფულადი აქტივების კომბინაციის სანაცვლოდ, მოიცავს მიღებული აქტივის სამართლიან ღირებულებას ან დათმობილი აქტივის ღირებულებას. თუ მიღებული აქტივისა და გაცემული აქტივის სამართლიანი ღირებულება შეფასდება საიმედოდ, გადაცემული აქტივის სამართლიანი ღირებულება გამოიყენება ღირებულების შესაფასებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიღებული აქტივის რეალური ღირებულება უფრო ნათლად ჩანს. საინვესტიციო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ნებისმიერი მოგება ან ზარალი (გამოითვლება, როგორც სხვაობა გასხვისებიდან მიღებული წმინდა შემოსავალსა და ქონების საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარებულია მოგება-ზარალში. როდესაც ქონების გამოყენების მიზნობრიობა იცვლება ისე, რომ იგი რეკლასიფიცირებულია როგორც ქონება და აღჭურვილობა ან ინვენტარი, გადაცემა განხორციელდება ასეთი ქონების საბალანსო ღირებულებით რეკლასიფიკაციის თარიღისთვის.

მიწით სარგებლობის უფლება. მიწით სარგებლობის უფლების აქტივი აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაცია დაანგარიშდება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით, ღირებულების 99-წლიანი უფლების ვადაზე გადანაწილების გზით, რომელიც შესულია მოგება-ზარალის ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენაზე გაწეულ დანახარჯებსა და ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მათ მისაყვანად გაწეულ ხარჯებს.

ინვესტიციები შვილობილი საწარმოში. ინვესტიციები შვილობილი საწარმოში აისახება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვები ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში. კომპანია აფასებს შვილობილ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციის თანხას, როდესაც არსებობს გაუფასურების ინდიკატორები. გაუფასურების ინდიკატორები შეიძლება მოიცავდეს ამონაგების, შემოსავლების ან ფულადი ნაკადების შემცირებას ან ეკონომიკურ ან პოლიტიკურ სიტუაციაში არსებით უარყოფით ცვლილებებს იმ ქვეყანაში, სადაც საწარმო ოპერირებს, რაც შეიძლება მიუთითებდეს, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ არის აღდგენადი. თუ ფაქტები და გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ ინვესტიცია შვილობილ საწარმოში შეიძლება გაუფასურდეს, სავარაუდო მომავალი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები, რომლებიც

დაკავშირებულია შესაბამის ინვესტიციასთან, შედარებულია მათ საბალანსო ღირებულებებთან, რათა დადგინდეს, არის თუ არა საჭირო აღდგენადი ღირებულების ჩამოწერა.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში და მოკლევადიან ანაბრებს მაქსიმუმ სამი თვის ვადით, რომლებსაც აქვს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება. ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(i) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, ხოლო შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და ჯგუფის ბიზნეს-მოდელზე, რომლითაც მათ მართავს. იმ დებიტორული დავალიანებების გამოკლებით, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ჯგუფი და კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით.დებიტორული დავალიანება, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ფასდება ფასს (IFRS) 15- ით განსაზღვრული გარიგების ფასით. ქვემოთ იხილეთ სააღრიცხვო პოლიტიკები თავში „შემოსავლის აღიარება“. იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ დაუფარავ ძირი თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირება და სრულდება ინსტრუმენტის დონეზე. ჯგუფის და კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად. ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში, აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფი და კომპანია იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

შემდგომი შეფასება. შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები)
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სავალო ინსტრუმენტები)
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე (წილობრივი ინსტრუმენტები)
- მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები ჯგუფისთვის და კომპანიისთვის ყველაზე აქტუალური კატეგორიაა.

ჯგუფი და კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებასა ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

ჯგუფის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას.

აღიარების შეწყვეტა. ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა, ან
- ჯგუფმა და კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა და კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა და კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მე-8 შენიშვნაშია წარმოდგენილი. ჯგუფი და კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და ჯგუფის და კომპანიის მოსალოდნელ ყველა ფულად ნაკადს შორის, და დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია. სავაჭრო მოთხოვნებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის ჯგუფი და კომპანია იყენებენ გამარტივებულ მიდგომას ECL-ების გაანგარიშებისას. აქედან გამომდინარე, ჯგუფი და კომპანია არ აკონტროლებენ საკრედიტო რისკში ცვლილებებს, არამედ აღიარებენ ზარალის რეზერვს, რომელიც ეფუძნება უვადო ECL-ებს ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფი და კომპანია ითვლის ECL თანხას ექსპერტის დასკვნით განსაზღვრული ზარალის განაკვეთების გამოყენებით. ექსპერტის გადაწყვეტილების გამოყენება მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ისტორიული ინფორმაციის არარსებობის გამო, რაც შესაძლებელს გახდიდა რეზერვის მატრიცის შემუშავებას. ინდივიდუალური ზარალის განაკვეთები განისაზღვრა მოვალეთა პროგნოზირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე. ჯგუფი და კომპანია განიხილავს ფინანსურ აქტივს გადეფოლტებულად, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია 90 დღის განმავლობაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ჯგუფმა და კომპანიამ შეიძლება, ასევე, მიიჩნიონ ფინანსური აქტივი გადეფოლტებულად, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ჯგუფი და კომპანია ნაკლებად სავარაუდოა, რომ მიიღებენ სახელშეკრულებო თანხებს სრულად, სანამ არ გაითვალისწინებენ რაიმე საკრედიტო შეღავათებს. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება ჯგუფის მიერ, როდესაც არ არსებობს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების გონივრული მოლოდინი.

(i) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება. თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, კრედიტორული დავალიანება ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს. ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხების და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, მას აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები. ჯგუფის და კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს კრედიტორულ დავალიანებას.

აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩაანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებასა ან ზარალში.

(ii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ერთმანეთთან გაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების გაქვითვის იურიდიული

უფლება და არ არსებობს შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვის განზრახვა, რათა ერთდროულად მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის პარტნიორებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება სხვა საოპერაციო ხარჯებში. კომპანიის შვილობილი კომპანია რეგისტრირებულია საქართველოს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში და არ იბეგრება მოგების გადასახადით.

ამონაგების აღიარება. შემოსავალი განისაზღვრება მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრული ანაზღაურების საფუძველზე და არ მოიცავს მესამე მხარეთა სახელით მოკრებილ თანხებს. ჯგუფი და კომპანია შემოსავალს მაშინ აღიარებს, როდესაც პროდუქტსა ან მომსახურებაზე კონტროლს მომხმარებელს გადასცემს. მრავალელემენტიანი გარიგებებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ჯგუფი და კომპანია განცალკევებით აღრიცხავს ინდივიდუალურ მომსახურებებს, თუ ისინი განცალკევებულია. ანაზღაურება გადანაწილდება სხვადასხვა მომსახურებაზე მათი ინდივიდუალური სარეალიზაციო ფასების მიხედვით. ინდივიდუალური სარეალიზაციო ფასები განისაზღვრება იმ განფასების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ჯგუფი და კომპანია ყიდის მისი ოპერაციების დამუშავების და ტექნიკური მომსახურებებს. შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

შემოსავალი ადმინისტრაციული მომსახურებიდან

შემოსავალი სალიცენზიო და რეგისტრაციასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული და საკონსულტაციო მომსახურებებიდან აღიარდება მომსახურების გაწევის მომენტში. ამ შემოსავლის აღიარება ხდება შესასრულებელი მოვალეობის შესრულებისთანავე, შესაბამისი საბაზისო ოპერაციების იმ მომენტში, როდესაც სრულდება საბაზისო ოპერაცია.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფი და კომპანია პროდუქტსა ან მომსახურებაზე კონტროლს მომხმარებელს გადასცემს.

საიჯარო შემოსავალი. საიჯარო შემოსავალი აღიარდება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით საიჯარო ვადის განმავლობაში. შემდგომი პერიოდების საიჯარო ქირის მიღების შემდეგ, შესაბამისი შემოსავლის თანხა გადავადდება და აღიარდება შემდგომ პერიოდში. აუღიარებელი შემოსავალი კლასიფიცირდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ვალდებულებების ფარგლებში მიღებული ავანსების სახით. საიჯარო შემოსავალი შედგება მიწის საწყობების, მიწის ნაკვეთების, ინფრასტრუქტურული აქტივების და აღჭურვილობების გაქირავებიდან მიღებული შემოსავლებიდან.

საპროცენტო შემოსავალი. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით (“EIR”). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების სავარაუდო შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. ჯგუფის და კომპანიის სამუშაო ვალუტა ლარია. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგებასა ან ზარალში, საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალის ნაწილში. სხვაობა უცხოურ ვალუტაში ოპერაციების სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და სებ-ის მიერ ოპერაციის თარიღში დადგენილ გაცვლით კურსს შორის შესულია წმინდა საკურსო ზარალში განსაზღვრულ მოგებასა ან ზარალში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად იყო:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 31 დეკემბერი 2022	2.7020	2.8844
გაცვლითი კურსი 31 დეკემბერი 2021	3.0976	3.5040

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. ჯგუფი და კომპანია ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, ჯგუფი და კომპანია აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი.

აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რაც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, გამოიყენება შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

ჯგუფი და კომპანია გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება ჯგუფის და კომპანიის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. გრძელვადიანი ზრდის ტემპი გამოითვლება და გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში, გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამისად, გარდა მანამდე გადაფასებული ქონებისა, რომლის გადაფასების რეზერვიც აისახა სხვა სრულ შემოსავალში. ასეთი ქონების შემთხვევაში, გაუფასურების აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში ნებისმიერი წინა გადაფასების თანხამდე. ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღმოფხვრილი ან შემცირებულია.

მსგავსი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს აქტივის ან ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის აღდგენითი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. შემობრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის აღდგენით ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით,

წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. შემობრუნების აღიარება ხდება მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქტივი აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც შემობრუნება აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მოსაზრებები

ჯგუფისა და კომპანიის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან მოსაზრებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ხსენებულ ოდენობებზე და თანმხლებ ინფორმაციასა და პირობითი ვალდებულებების გამჟღავნებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების შესახებ გაურკვევლობამ შეიძლება გამოიწვიოს შედეგები, რომლებიც საჭიროებენ აქტივებისა ან ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებით კორექტირებას მომავალ პერიოდებში.

მოსაზრებები

ჯგუფისა და კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში ხელმძღვანელობამ გააკეთა შემდეგი შეფასებები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე:

<u>ადმინისტრაციული სერვისებიდან მიღებული შემოსავლების აღიარების ვადები.</u> ჯგუფი და კომპანია თავის მომხმარებლებს უწევენ ადმინისტრაციულ მომსახურებას, ანუ იღებენ შემოსავლებს ლიცენზიიდან და მასთან დაკავშირებული რეგისტრაციის, ადმინისტრაციული და საკონსულტაციო მომსახურებიდან. ფასს 15 უნდა იქნას გამოყენებული იმის დასადგენად, არის თუ არა ლიცენზია განყენებული და დაკმაყოფილებულია თუ არა შესრულების ვალდებულება დროის გარკვეულ მომენტში ან დროთა განმავლობაში. ხელმძღვანელობამ შეაფასა, ლიცენზიის მინიჭება მოხდება დროის კონკრეტულ მომენტში თუ დროთა განმავლობაში. ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ჯგუფი და კომპანია გადასცემენ უფლებას, დაარეგისტრირონ და აწარმოონ სუბიექტი საქართველოს ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში და, შესაბამისად, ადმინისტრაციული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია დროის კონკრეტულ მომენტში, რადგან ჯგუფს და კომპანიას არ აქვთ დამატებითი ვალდებულებები, განახორციელონ დამატებითი ოპერაციები, რაც გავლენას ახდენს გადაცემულ ლიცენზიაზე.

<u>ძირითადი საშუალებების გაუფასურების შეფასება.</u> ხელმძღვანლობა ატარებს ძირითადი საშუალებების გაუფასურების ტესტს, რათა შეაფასოს კომპანიის აქტივების შესაძლებლობები მომავალი ფულადი ნაკადების გენერირების მიზნით; ანაზღაურებადი თანხის განსაზღვრა მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებას;

5. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

კომპანიას იჯარით აქვს აღებული ადმინისტრაციული შენობა. საიჯარო გადასახდებელი დენომინირებულია აშშ დოლარში. იჯარის ვადა და ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი მოცემულია შემდეგნაირად:

საიჯარო ხელშეკრულება	არაგაუქმებადი პერიოდი	იჯარის ვადა	ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი
ადმინისტრაციული ოფისი	-	36 თვე	7.37%

აქტივის გამოყენების უფლება წარდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
წლის დასაწყისში	**108**	**87**
მოდიფიკაცია	-	87
ცვეთის ხარჯი	(76)	(66)
წლის ბოლოს	**32**	**108**

საიჯარო ვალდებულებები შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2022	2021
წლის დასაწყისში	**108**	**91**
მოდიფიკაცია		87
საპროცენტო ხარჯი	5	9
იჯარის გადახდა	(73)	(73)
საკურსო სხვაობა	(12)	(6)
წლის ბოლოს	**28**	**108**
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	-	35
მიმდინარე საიჯარო ვალდებულება	28	73

მიმდინარე ან შესადარებელ პერიოდში კომპანიას არ აქვს მიღებული სესხები, მსგავსი ვალუტის, დაფარვისა და ვადების მიხედვით. IBR განისაზღვრა მსგავსი სექტორისთვის დაკვირვებადი ბაზრის მონაცემების საფუძველზე.

6. ძირითადი საშუალებები, საინვესტიციო ქონება და მიწის გამოყენების უფლება

ჯგუფის ძირითადი აქტივების, საინვესტიციო ქონებისა და მიწით სარგებლობით უფლება იყო შემდეგი:

ისტორიული ღირებულება	ინფრასტრუქტურული აქტივები	მანქანა-დანადგარები	კომპიუტერები, საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და მოწყობილობები	სულ ძირითადი საშუალებები	საინვესტიციო ქონება	მიწით სარგებლობის უფლება
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2020	**4,435**	**315**	**161**	**4,911**	**7,347**	**25**
31 დეკემბერი 2021	**5,336**	**428**	**175**	**5,939**	**11,231**	**25**
31 დეკემბერი 2022	**4,663**	**309**	**212**	**5,184**	**11,481**	**25**

კომპანიის ძირითადი აქტივების, საინვესტიციო ქონებისა და მიწით სარგებლობით უფლების მოძრაობა იყო შემდეგი:

ისტორიული ღირებულება	ინფრასტრუქტურული აქტივები	მანქანა-დანადგარები	კომპიუტერები, საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და მოწყობილობები	სულ ძირითადი საშუალებები	საინვესტიციო ქონება	მიწით სარგებლობის უფლება
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2020	**3,904**	**217**	**164**	**4,285**	**2,088**	**25**
31 დეკემბერი 2021	**3,876**	**182**	**160**	**4,218**	**1,905**	**25**
31 დეკემბერი 2022	**3,589**	**154**	**178**	**3,921**	**1,845**	**25**

საინვესტიციო ქონება

ჯგუფის საინვესტიციო ქონება მოიცავს ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში განთავსებულ საწყობებს და მათი ღირებულება აღრიცხულია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი გაუფასურების ზარალი. დამხმარე კონსტრუქციები, გარდა საწყობებისა, შესულია ძირითად საშუალებებში შეყვანილ ინფრასტრუქტურულ აქტივებში. 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება მის სამართლიან ღირებულებას არის მიახლოებული.

მიწით სარგებლობის უფლება

მიწით სარგებლობის უფლება მოიცავს ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში განთავსებულ მიწის ნაკვეთებს, რომლებიც აღებულია 99 წლით და რომელიც ამორტიზირდება ვადის განმავლობაში 2008 წლის დეკემბრიდან.

7. ინვესტიცია შვილობილ საწარმოში

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ აღიარა ინვესტიცია სრულად კუთვნილ შვილობილ საწარმოში, შპს „ფოთი თიზ კომუნალურებში“ 11,565 ლარისა და 11,565 ლარის ოდენობით.

8. დებიტორული დავალიანება

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფისა და კომპანიის დებიტორული დავალიანება გამოკლებული გაუფასურების ზარალი, იყო შემდეგი:

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო მოთხოვნები	1,061	649	267	335
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(207)	(157)	(10)	(10)
სულ	**854**	**492**	**257**	**325**

ჯგუფი და კომპანია იყენებენ ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, დებიტორული დავალიანებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვის გამოყენებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კოლექტიურ საფუძველზე შესაფასებლად, დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის საფუძველზე. ზოგიერთი კონტრაგენტისთვის ინდივიდუალური საკრედიტო ზარალი განისაზღვრა მათი ფინანსური მდგომარეობისა და პროგნოზირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე.

ჯგუფისა და კომპანიის მიერ დებიტორებისთვის შეთავაზებული საკრედიტო პერიოდი არ აღემატება 30 დღეს.

9. ფული და ფულის ექვივალენტები

ჯგუფისა და კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები უმეტესად მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში. ხელმძღვანელობა არ მოელის იმ ბანკის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ ზარალს, სადაც განთავსებულია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ამასთან, მათი საბალანსო და სამართლიანი ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება.

10. კაპიტალი

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს და კომპანიას ჰქონდათ საწესდებო კაპიტალი, შესაბამისად, 48,437 და 48,437 ლარის ოდენობით.

2022 და 2021 წლებში დივიდენდები არ იყო გამოცხადებული და განაწილებული.

11. კრედიტორული დავალიანება

ჯგუფისა და კომპანიის კრედიტორული დავალიანება შედგებოდა შემდეგისგან:

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მომსახურების კრედიტორული დავალიანება	-	3	-	-
გადასახდელი გადასახადები	28	31	-	32
სულ	**28**	**34**	**-**	**32**

12. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ჯგუფი და კომპანია ადმინისტრაციულ მომსახურებებს უწევს მომხმარებლებს, რაც მოიცავს შესაბამისი ლიცენზი(ებ)ის გაცემას და რეგისტრაციას, ასევე, ადმინისტრაციულ და საკონსულტაციო მომსახურებებს საქართველოს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში. ჯგუფის და კომპანიის შეფასებით, ეს მომსახურებები დაკმაყოფილებულია კონკრეტულ მომენტში (დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხილეთ მე-3 შენიშვნა).

ჯგუფის ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან იყო შემდეგი:

	2022	2021
შემოსავალი ადმინისტრაციული მომსახურებიდან	1,586	2,335
სხვა შემოსავალი	813	441
	2,399	**2,776**

კომპანიის ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან იყო შემდეგი:

	2022	2021
შემოსავალი ადმინისტრაციული მომსახურებიდან	1,586	2,357
სხვა შემოსავალი	**1,586**	-
	1,586	**2,357**

სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები

ჯგუფმა აღიარა შემოსავლებთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები:

	2022	2021
დებიტორული დავალიანება, გაუფასურების ზარალის გამოკლებით (შენიშვნა 8)	894	492
მიღებული ავანსები	707	642

კომპანიამ აღიარა შემოსავლებთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები:

	2022	2021
დებიტორული დავალიანება, გაუფასურების ზარალის გამოკლებით (შენიშვნა 8)	257	325
მიღებული ავანსები	707	643

ჯგუფი და კომპანია იყენებს ფასს (IFRS) 15.121-ით გათვალისწინებულ პრაქტიკულ დაშვებას და არ წარადგენს განმარტებით შენიშვნებს შესასრულებელ ვალდებულებებზე განაწილებული ოპერაციის ღირებულების დაუკმაყოფილებელ აგრეგირებულ ოდენობას, რადგან ჯგუფს და კომპანიას აქვს უფლება, მომხმარებლისგან მიიღოს იმ ოდენობის ანაზღაურება, რომელიც პირდაპირ შეესაბამება ჯგუფის და კომპანიის მიერ კონკრეტული თარიღისთვის შესრულებული ვალდებულებების ღირებულებას.

13. სხვა საოპერაციო ხარჯები

ჯგუფისა და **კომპანიის** სხვა საოპერაციო ხარჯები შედგება:

	კონსოლიდირებული		**ინდივიდუალური**	
	2022	**2021**	**2022**	**2021**
პროფესიული მომსახურება	650	789	650	673
უსაფრთხოება	210	156	210	156
სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯები	147	139	147	139
მარკეტინგის ხარჯები	68	76	66	76
საწვავი	52	47	52	47
საგადასახადო ხარჯები	26	42	17	42
სარემონტო სამუშაოები	52	38	46	20
კომუნიკაცია	39	16	39	16
დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის დარიცხვა	(10)	(34)	-	123
სხვა	219	165	129	125
სულ	**1,473**	**1,434**	**1,356**	**1,417**

14. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მართვა

ჯგუფი და კომპანია ექვემდებარებიან რისკებს, რომლებიც წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს ჯგუფისა და კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს ამ რისკების მართვისთვის და მათი გაზომვის მეთოდებს. დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია ამ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდურია ან აქვთ მოკლევადიანი ვადა, ივარაუდება, რომ მათი საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ რეალურ ღირებულებას.

ხელმძღვანელობას აქვს პასუხისმგებლობა ჯგუფისა და კომპანიის რისკის მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრაზე და, მიუხედავად იმისა, რომ ინარჩუნებს მათზე საბოლოო პასუხისმგებლობას, მას აქვს დელეგირებული უფლებამოსილება, შექმნას და წარმართოს პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფენ მიზნებისა და პოლიტიკისა და ჯგუფის და კომპანიის ფინანსური ფუნქციის ეფექტურ განხორციელებას.

ხელმძღვანელობის ზოგადი მიზანია, დააწესოს პოლიტიკა, რომელიც შეძლებისდაგვარად შეამცირებს რისკებს ჯგუფისა და კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე ზედმეტი ზემოქმედების გარეშე. ამ პოლიტიკის შესახებ დამატებითი დეტალები მოცემულია ქვემოთ. თავისი ოპერაციებით ჯგუფი და კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი: სავალუტო რისკი და საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ჯგუფისა და კომპანიისთვის ფინანსური ზარალის რისკი, თუ ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაგენტი ვერ შეასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. ჯგუფი და კომპანია ძირითადად ექვემდებარებიან საკრედიტო რისკს საკრედიტო გაყიდვებიდან.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც კონტრაგენტებს ფინანსური სირთულეები ექმნებათ და ვერ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებას, დაუბრუნონ სახსრები ჯგუფსა და კომპანიას. ჯგუფსა და კომპანიას შეიძლება ჰქონდეთ სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას და, შედეგად, არასაკმარისი თანხები ჰქონდეთ თავიანთი საქმიანობის სამართავად.

ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად ექვემდებარება ჯგუფს და კომპანიას საკრედიტო რისკს, ძირითადად შედგება დებიტორული დავალიანებისგან. დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება

წარმოადგენს საკრედიტო რისკის მქონე მაქსიმალურ თანხას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება ჯგუფისა და კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვიდან. ეს არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი და კომპანია შეხვდნენ სირთულეებს მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების შესრულებისას, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ჯგუფისა და კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და შესრულებაზე. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას საკრედიტო საშუალებების ადეკვატური ოდენობით. შემდეგი ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც ეფუძნება ყველაზე ადრეულ თარიღს, როდესაც ჯგუფსა და კომპანიას შეიძლება, გადახდა მოეთხოვოს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება შემცირდეს საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ჯგუფისა და კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებისგან. ეს არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და სავალუტო კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილების გამო.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილებებისგან, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ჯგუფისა და კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაზე. საპროცენტო განაკვეთის რისკი (ცვლადი ღირებულებით) დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ ფინანსურ ინსტრუმენტებთან, ცვლადი განაკვეთის გამო. ჯგუფისა და კომპანიის ყველა პროცენტიანი აქტივი და ვალდებულება არის ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გამო. კომპანია ექვემდებარება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რყევების გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის შენარჩუნებისას ჯგუფისა და კომპანიის მიზნებია:

- ჯგუფის და კომპანიის უწყვეტად ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობების დაცვა, რათა გააგრძელოს ეფექტურად ოპერირება; და
- უზრუნველყოს აქციონერებისთვის სერვისების რისკის დონის შესაბამისი ანაზღაურება;

ჯგუფი და კომპანია ადგენს კაპიტალის საჭირო რაოდენობას რისკის პროპორციულად. ჯგუფი და კომპანია მართავს თავის კაპიტალის სტრუქტურას და ახორციელებს კორექტირებას ეკონომიკური პირობებისა და ძირითადი აქტივების რისკების მახასიათებლების ფონზე.

კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, ჯგუფს და კომპანიას შეუძლიათ, შეცვალონ აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნონ კაპიტალი აქციონერებს ან გაყიდონ აქტივები ვალის შესამცირებლად.

15. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 24-ით „დაკავშირებული მხარის ინფორმაციის გამჟღავნება“, შეიძლება იყოს შემდეგიდან ერთი ან რამდენიმე:

ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებენ, ან არიან კონტროლირებული ან არიან საერთო კონტროლის ქვეშ ჯგუფის მიერ (ეს მოიცავს მშობლებს, შვილობილი და

სხვა შვილობილი კომპანიები); აქვთ ინტერესი ჯგუფში, რაც შემდეგ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჯგუფზე; და რომლებსაც აქვთ ერთობლივი კონტროლი ჯგუფზე;

ბ) ჯგუფის ან მისი მშობელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

გ) (ა) ან (ბ) პუნქტებში მითითებული ნებისმიერი პირის ოჯახის ახლო წევრები;

დ) მხარეები, რომლებიც აკონტროლებენ, ერთობლივად აკონტროლებენ ან მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ, ან რომლებზეც მნიშვნელოვანი ხმის მიცემის უფლება აქვთ ამ ერთეულში, პირდაპირ ან ირიბად, (c) ან (b) პუნქტებში მოხსენიებულ ნებისმიერ ფიზიკურ პირთან ერთად;

თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეთმობა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ჯგუფსა და სხვა დაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებების დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ.

ჯგუფის და კომპანიის ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის იყო:

ფინანსური ანგარიშგების დონე	სხვა დაკავშირებული მხარეები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	-	278
დებიტორული დავალიანება	54	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	600	-

ჯგუფის და კომპანიის ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის იყო:

ფინანსური ანგარიშგების დონე	სხვა დაკავშირებული მხარეები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	-	276
სხვა საოპერაციო ხარჯები	600	-

16. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია განახორციელოს ინვესტიცია.

17. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა.